




ნაციონალთაგან უსამართლოებით და კალაღობით  
 შეღონებულმა ხალხმა რაც შეიძლება მალე უნდა  
 იბრძნოს სამართალიც და კოალიცია „ქართული  
 ოცნებისგან“ შევირებული ყველა სიკეთეც!..

# საქართველოს



იმისთანა წმინდა საძმეში,  
 ბეგობიც ბეჭდურები სიფყვას,  
 ფედილებით და ჭებებით ბურთის  
 გაცანა ყველა უკადრისდაზგე  
 უსამაგლესია.

 **დაარსებულია**  
 1918 წელს. 

ოთხშაბათი, **24** ოქტომბერი, 2012 წელი.  
 №204 (7080)

# რუსეთის

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge) **ფასი 50 თეთრი.**

**„სააკაუვილი  
 ადგილობრივ  
 ხელისუფლებაში  
 კლასდარებს ქენის“** ③





**რუსთა და  
 ქართველთა  
 ბედისწერა** ④




**„ბატონო დიმა, თქვენ,  
 ეტყობა, სიზმარში ხართ...“** ②


⑥ **ხალხი  
 შევირებულ  
 ტარიფებს  
 ელოდება**

მინისტრებმა საქართველო საიდუმლო  
 ინფორმაციასთან ერთად დაბოვეს

**ნიჭიერებით  
 დაღდასმული** ⑨



**გივი ⑧  
 თარგამაძე—  
 ავანტიურისტი,  
 რევოლუ-  
 ციონერი,  
 დეპუტატი**









განსჯა


როდესაც კაცს ბრალდებას, თანაც მძიმე ბრალდებას უყენებენ... მინისტრობის კანდიდატის მიერ დეპუტატობის კანდიდატად ყოფნის პერიოდში ნათქვამ კონტრადიქტორულ პოზიციებზე დაბრუნებას...

ვოკატორები არიან?! როგორც ჩანს, პროვოკატორის პროვოკატორად მოხსენიებას არასამთავრობო ორგანიზაციების ნებართვა სჭირდება...

ლანძლავი სიტყვების შეცვლა გადინჯვიტეს ხელით... „აფრიკელ“-ამერიკელით... ზანგების აღმნიშვნელი ლიტერატურული სახელწოდება...

მინისტრობის კანდიდატი და სამი „პროკურორი“

19 ოქტომბერს „პაესტროს“ ეთარში გასული გადასამის „პოლიტმბერის“ თაობაზე



მანაც ბოდიში მოიხადა - შეურაცხყოფა არ მქონია გუნებაში, ასე გვასწავლიდნენ და ამ სიტყვას ვიყენებდით სულ, ახლა თუ სალანძლავი გახდა არ ვიცოდებ...

ამერიკის მიერ საკუთარი ისტორიული აუცილებლობიდან გამომდინარე, „ნიგერის“ და სხვა სახელების ნაცვლად ახალი სახელების - „აფრიკელ“-ამერიკელი შემოღობა...

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამერიკამ სწორედ იმიტომ შემოიღო „აფრიკელ“-ამერიკელი, რომ მას დიდხანს დიდი ბრალი მიუძღვის იმით წინაშე, ვისაც ცხარე პირ ტყავს...

ყველა ერმა (და არა სხვისი ფულით ნასაზრდოებმა „არასამთავრობოებმა“) ის სიტყვა და გამოთქმა უნდა ამოიღოს ხმარებიდან...

ასე რომ, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქართული სიტყვა „ზანგი“ არის ლიტერატურული სიტყვა, რომელსაც დამამცირებელი მნიშვნელობა არასდროს არ ჰქონია...

იაკობ ლეჟავა, 20 ოქტომბერი, 2012

P. S. ბადაცემამში მონაწილე ბრალმდებელი სამეულის ანუ „ტროიკის“ აზრით (გამსზოვანებული ვინმე ვახუშტი) თურმე ზანგისთვის ზანგის ნოდება დანაშაულია...

ინფორმაცია

სამოქალაქო საზოგადოება „არაპოითხა მოაგვასთან“ ასოციაციას უნდა პრიდოს

პოლიტიკოლოგი სოსო ცისკარიშვილი სამოქალაქო საზოგადოებას საკუთარი აქტივობების მიმართულების შეფასებისკენ მოუწოდებს... ურნალისტებთან შეხვედრისას სოსო ცისკარიშვილი გამოხედაურა საზოგადოების ნაწილის განცხადებებს...



### ჟურნალისტური გამოძიება

2011 წლის 22 დეკემბრიდან მოყოლებული, ჩვენი სააგენტო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს, რომლებშიც დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენებია საქართველოს ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელეების მიერ ჟინვალჰესის, დედაქალაქის და მისი გარეუბნის მოსახლეობის საზიანოდ განხორციელებული უკანონო ქმედებები, რომლის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი 200 მილიონ ლარზე მეტად დაზარალდა. ამასთან აღმოუფხვრელია მოსახლეობისთვის წყლის ხანგრძლივი მოუწოდებლობით მოსალოდნელი ეკოლოგიური, სანიტარული-ეპიდემიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური კატასტროფული შედეგების გამომწვევი მიზეზები, რაც, თავისთავად უარყოფითად აისახება ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზეც.

გამოკვლევებით საზოგადოებას თვალნათლივ დავანახვეთ, რომ ჟინვალჰესის სადერევაციო გვირაბის მშენებლობისას, ადრე მის დამტკიცებულ პროექტში შეტანილმა ცვლილებამ, კერძოდ, მისი მრგვალი ფორმის ელიფსოიდური ფორმით შეცვლამ, რაც არაგვის ხეობაში არსებული გეოლოგიური მახასიათებლების პირობებში საინჟინრო თვალსაზრისით დაუშვებელია, გამოიწვივა გვირაბის არაერთგზის დაზიანება. გვირაბი, მასში სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებლობის გამო, დღემდე ვერ ასრულებს საპროექტო დანიშნულებას – წამში გათვალისწინებული 130 კუბმეტრის ნაცვლად, მხოლოდ 70-80 კუბმეტრ წყალს ატარებს.

მაგრამ მთავარი საფრთხე მაინც გვირაბის დაზიანების პროცესის შეუქცევადი ხასიათია. მისი ჩამორჩევა შესაძლებელია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური კატაკლიზმების შედეგად. თუმცა, თავის დროზე მოქალაქეთა კავშირის ლიდერებმა (ე.შევარდნაძის მეთაურობით) იმის მიუხედავად, რომ კარგად იცოდნენ აღნიშნული საფრთხის შესახებ, რაც დასტურდება პრეზიდენტის მთელი რიგი განკარგულებების შინაარსით, რეალური პრაქტიკული ნაბიჯები მაინც არ გადადგეს.

ჟინვალჰესის კომპლექსზე, ვითომ ამ პრობლემის აღმოფხვრის მოტივით, მოიჯარედ დაუშვეს მნიშვნელოვანი კაპიტალის არმქონე შპს „ჟინერი“, შემდგომში კი კონსორციუმში „ჟინვალჰესის განვითარების ჯგუფის“ სახელით, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა. კონსტიტუციის სანაწინააღმდეგო ამ ქმედებამ განაპირობა კანონის მთელი რიგი მოთხოვნების დარღვევა. ხელოვნურად შემცირდა ობიექტის საბალანსო ღირებულება 9 მილიონ ლარამდე, შესაბამისად – საიჯარო გადასახადიც. ფაქტობრივად შპს „ჟინერი“ დაეკისრა სახელმწიფო ფულადი სახსრების მითვისების ფუნ-


ქცია. გამოვლინდა ხელისუფლების მიერ განხორციელებული კანონშეუსაბამო ქმედებათა ახალი ფაქტები.

როგორც წინა პუბლიკაციებში ვწერდით, საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურმა კომიტეტმა (ივანე მერაბიშვილის თავმჯდომარეობით) მოინონა კონსორციუმ „ჟინვალის განვითარების ჯგუფის“ და შპს „ჟინერი“ საქმიანობა

იგივე 14 მილიონი ლარის საბალანსო ღირებულებით დაუბრუნეს შპს „თბილწყალკანალს“.

აღნიშნული ქმედება მიზანდასახავდა, უწინარესად, იმას, რომ მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების განხილვის ცენტრში კონსორციუმ „ჟინვალის განვითარების ჯგუფს“ საქართველოს მიმართ 26 მილიონი დო-

# უთქუდაბა საქართველოს წინააღმდეგ



ჟინვალჰესის კომპლექსზე, და ეს მაშინ, როცა აშკარა გახდა მათი ამ „მოღვაწეობის“ ქვეყნის ინტერესებთან შეუსაბამობა. გამოცემული იყო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 თებერვლის № 111 და 5 ივნისის № 669 განკარგულებები, რომელთა მიხედვით მათი საქმიანობა უნდა შეწყვეტილიყო, ხოლო თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს № 8-12 გადაწყვეტილებით საბალანსო ღირებულება 114 მილიონ ლარამდე უნდა გაზრდილიყო. ხელისუფლებამ გადადგა სახელმწიფოსა და მოსახლეობის ეკონომიკური ინტერესების სანაწინააღმდეგო უკანონო ნაბიჯები.

შპს „თბილწყალკანალის“ სამეთვალყურეო საბჭოს ინიციატივით (თავმჯდომარე - ი. ცარცვიძე) დედაქალაქის მთავრობის პრემიერის გ. შერაძის მხარდაჭერით, შეიქმნა ცრუ სამენარმო ორგანიზაცია (შპს „ჟინვალჰესის“ სახით), რომლის ფორმალურ დირექტორად დანიშნა შპს „თბილწყალკანალის“ გენერალური დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე დემურ მხეცაძე. მას გადასცეს 14 მილიონ ლარად შეფასებული ჟინვალჰესის ძირითადი ფონდები, ნაცვლად 114 მილიონისა, ხოლო ერთი წლის შემდეგ

ლარის სასარჩელო მოთხოვნის საქმის მოგების შემთხვევაში კანონიერი საფუძველი შექმნოდა დაბალი, ხელოვნურად შემცირებული საბალანსო ღირებულების არა მარტო ამ ობიექტის საკუთრებაში სრულად აღებისა, არამედ სხვა ენერგეტიკული ობიექტისაც, ხოლო მეორე რიგში – შპს „ჟინერისთვის“ არ გაზრდილიყო საიჯარო გადასახადი, რათა მათი შემოსავლების წყარო არ შემცირებულიყო.

მართალია, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მიჩქმალა „ჟინვალის განვითარების ჯგუფის“ მიერ გაყალბებული დოკუმენტაციის საფუძველზე სარჩელის აღქმის ფაქტი და, რაც მთავარია, ბრალეული პირები არ დადგენილა და პასუხისგებაში არ მიცემულა.

მაგრამ ის, რაც ვერ შეძლეს შევარდნაძის რეჟიმის ხელისუფლებამ, „წარმატებით“ დაასრულეს მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთის ლიდერებმა მიხეილ სააკაშვილმა და ივანე მერაბიშვილმა. დღეს ჟინვალჰესის ჰიდროკომპლექსი შპს „თბილწყალკანალის“ და ჟინვალჰესის სახით უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფაქტობრივ საკუთ-

რებაშია და, უწინარესად, ემსახურება მათს ფინანსურ ინტერესებს. ახალ (უცხოელ) მფლობელს შპს „ჯინერი“ ვოლტერ ენდ პაუერს“ წინასწარ გაუშვადეს მათთვის ხელსაყრელი პირობები და დაუმტკიცეს გაუმართლებლად გაზრდილი წყლისა და ელექტროენერჯის ტარიფები, რითაც უგულვებელყვეს დედაქალაქის მოსახლეობის კანონიერი ინტერესები. რაც შეეხება ჟინვალჰესის სადერევაციო გვირაბის უსაფრთხოებასა და სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის საფრთხეს, ამის თაობაზე ხელისუფლება დუმილს ამჯობინებს, არა და პრობლემა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ხელისუფლებამ იგი უთუოდ საჯარო უნდა გახადოს.

დღეს, იმის მაგივრად, რომ კორუფციულ სქემაში მონაწილე და მხილებულმა პირებმა ფართო საზოგადოების წინაშე აღიარონ თავიანთი ქმედებებით ქვეყნისთვის მიყენებული ზიანი, დადგინდონ მონაწილების გზაზე და ამით შეიმსუბუქონ პირადი პასუხისმგებლობა, ცდილობენ, შექმნან ცრუ შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენს სტატიებში მოყვანილი ფაქტები, აზრები, შეხედულებები და შეფასებები მათი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახავია.

ამ მიზნით, საქართველოში ფილიპინების საპატიო გენერალური კონსულის ღირსებას და ავტორიტეტს ამოფარებული სასამართლოში ჩივიან ვითომდა ჩვენი შეფასებების ცილისწამებლური ხასიათის გამო. ეს მაშინ, როდესაც ჩვენს გამოკვლევებში მოყვანილ ვერც ერთ ფაქტს ვერ უარყოფენ, მათი ერთადერთი არგუმენტი პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ თემურაზ ჭიჭინაძის „ღირსების ორდენით“ დაჯილდოება, რაც, ჩვენი შეფასებით, მეტად საეჭვოა, რადგან იმ პერიოდისთვის შპს „ჟინერი“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თემურაზ ჭიჭინაძე არ იყო არც ჟინვალჰესის და არც შპს „ჟინერი“ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

იმისთვის, რომ გადაფარონ შპს „ჟინერი“ მესვეურთა მიმართ შექმნილი უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი, თემურაზ ჭიჭინაძის ადვოკატი დიმიტრი გაბუნია ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ წარმავალმა ხელისუფლებამ ჭიჭინაძეს წაართვა ორთაქალქისი და ამით შელახა მისი, როგორც კანონიერი მესაკუთრის, უფლებები.

იმედს ვიტყვებთ, რომ მომავალი ხელისუფლება რადიკალურ ზომებს გაატარებს ჟინვალჰესის კატასტროფის თავიდან ასაცილებლად და დამნაშავე პირებს საკადრის პასუხს მოსთხოვს.

**ვაჟა კალეურიძე, თინათინ ჩხიკვაძე, ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „ერო“ ლ. სიმონიძე**

### დედაქალაქი

**ბავშვობიდან მახსოვს, მწვანილი, მანონი, ნაყინი, ნავთი, ყვავილები, ზოგი კიდევ სხვა რამეც, გასული საუკუნის შუა ხანების (ცოტა ადრეც) თბილისის ერთი კოლორიტი, წყნეთელი კაცის „ზემლიანო ზემლიცა“, ანუ ყვავილების მიწა, ქუჩა-ქუჩა დაპქონდათ, და ეს ჩვეულებრივი, ქალაქი რომ, ხდებოდა, ისეთი რამ იყო. თუმცა, მოსახლეობა სურსათ-სა-ნოვაცის ძირითადად ბაზარში ყიდულობდა.**

თანდათანობით, როგორც სხვა ბევრი რამ, ესეც შეიცვალა, დროის მკაცრი რეალობის შესატყვისად თბილისის ქუჩებში გაჩნდნენ ათასგვარი საქონლით მოვაჭრე აფხაზეთიდან და სამარაბლოდან ლტოლვილები, სოფლად უმუშევრად და უფუნქციოდ დარჩენილი გლეხები, ნაირ-ნაირი წვრილმანის გადაყიდვები, რომლებსაც მილიციულ-პოლიციელები ხან ხარკს ახდევინებდნენ, ხანაც ზემოდან მიღებული განკარგულებით არბევდნენ. სწორედ ბოლო ასეთი წმენდის შედეგი იყო, რომ დედაქალაქში, ყოველ შემთხვევაში მის ცენტრში მაინც,

## რად ვერ ველავით მბჟერსა და ნაბაჟს?

### რატომ არ ეპარაზიან მოვაჭრანი „ღეზირტირების“ ბაზარს?

მაგალითად, მარჯანიშვილის ქუჩაზე და მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, გარემოვაჭრეები გაქრნენ, თუმცა კი ახლა, ჯერ კიდევ ბოლომდე დაულაგებელი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვითარების გამო, აქა-იქ ისევ გაჩნდნენ გამოკვლელთათვის ათასნაირი წვრილმანის, ხილის, ყვავილებისა თუ მწვანილის შემთავაზებლები. ამჟამად მათზე ლაპარაკს არ შევუდგები, რადგან ეს, ჩემი აზრით, არა იმდენად თავად ვაჭრობის წესების დადგენის, რამდენადაც სოციალური მოწესრიგების, დევნილი და დაუსაქმებელი ხალხის პრობლემების გადაჭრის სფეროა.

ამჟამად თქვენი ყურადღება, პატივცემული მკითხველო, ძველადაც და ახლაც დეზერტირების ბაზრად ცნობილ აგრარულ სავაჭრო ცენტრსა და მის მიმ-

დებარედ შექმნილ ვითარებას მინდა მივამყრო. თუ რამდენად სწორი იყო ამ ბაზრის რამდენიმე ათეული წლის წინათ აშენებული, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით „ჯანსაღი“


ნაგებობის დანგრევა და მის ადგილას მრავალსართულიანი სავაჭრო ცენტრის წამოჭიმვის იდეა, მერე იქ, წლების მანძილზე, სანაგვის არსებობა, სხვა საკითხია, მაგრამ ახლა უკვე ფაქ-




ტია, რომ იქ დეზერტირების ბაზრის ახალი შენობა წამოიმართა. თუ რამდენად მიმობედველია იგი არქიტექტურულად, ყველა იქ მისულმა კაცმა თავად განსაჯოს, მაგრამ ერთი უდავოა: აქ ვაჭრობა სავსებით მისაღებია როგორც მყიდველთათვის, ისე გამყიდველთათვისაც. ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანების გასაჩერებელი ადგილის კატასტროფული სიმწირის გამო, დამპროექტებლებმა მის ორივე სართულზე მათი დასაყენებელი ადგილი გაითვალისწინეს, მოხერხებულად დაგეგმეს საქონლის დასაცვლელი ადგილიც. მასალის მოშაადებისას ბაზარში მისულმა საწვავით დატვირთული ხანდაზმული ქალბატონის ჩივილი მოვისმინე – რამხელა კიბეა მეორე სართულზე ასასვლელი, აქ ვერაფრით ვერ ვივლიო. არადა უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი ხალხისთვის, ვისაც კიბეზე ასვლა უჭირს, ბაზარში, სატვირთო ლიფტების გარდა, სამგზავრო ლიფტებისა და მომსახურებელი.







ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე



ჭაბუა ამირაჯიბი, ედუარდ შვპარდნაძე

# ნიჭიერებით დაღდასმული

ზომი ფოტოგრაფი ფოტოაპარატს ემონება, ზოგიც „ჩიტებით საფსევ“ ამ ჯადოსნურ ყუთს იმონებს.

ჯემალ ბასრაძე ის კაცია, რომელმაც კარგა ხანია, დაიშინა ფოტოაპარატი და გამორჩეული ხელწერის ოსტატის სახელიც დაისაკუთრა.

ფოტოგრაფია შუქით წერას, შუქით ხატვას ნიშნავს. ჯემალ კასრაძე ნამდვილი მხატვარია. მის ფოტოაპარატში ჩამალული ცხოვრებისეული სილამდე, სითბო, სიყვარული წარუშლელ კვალს ტოვებს ნებისმიერ მნახველზე.

35 წელიწადზე მეტია, ეს მოუგვანარი, უბრალოებით და ღიმილით საფსევ უფუნალისტი საკუთარ შემოქმედებაში ძალიან წრფელ და სწორ ცხოვრებისეულ აქცენტებს აკეთებს. მისი ფოტოკადრი არასდროს არ არის ყალბი, მოჩვენებითი, ზედაპირული. ჯემალ კასრაძე ნამდვილი ადამიანური ფენებიდან ძერწავს ხასიათს. უჩვეულო გულახდილობა მისი პიროვნული თვისებაა. საქართველოს მთასა და ბარში ფეხით მოხეტიალე ჯემალი ქედუხრელი და ამაყი კაცია, სხვათა ტკივილისა და სისწრაფის გამზიარებელი. ამიტომაც არის მისი ფოტოსტუდიები პირდაპირი და გულწრფელი.

მიუკიბ-მოუკიბავად უნდა ითქვას, რომ ჯემალ კასრაძე თანამედროვე ქართული ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ოსტატია. ამასთანავე, შესანიშნავი კალმოსანი და რამდენიმე წიგნის ავტორიც არის. მისი ნარკვევებისა და რეპორტაჟების კრებული „ჩიტებით საფსევ ყუთი“ და ასლახან დასტამბული საინტერესო ალბომი ოლიმპიურ ჩემპიონ ვაჟა კაჭარავაზე, ავტორის განსწავლულობასა და პუბლიცისტურ აღღოზე მეტყველებს.


„მოგზაურობა დროში“ — ბირობითად ასე შეიძლება ვუწოდოთ ჯემალ კასრაძის ახალ პერსონალურ გამოფენას, რომელიც 18 ოქტომბერს გაიხსნა პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში. ჯემალ კასრაძემ მთელი თავისი შემოქმედების რჩეული კადრები წარმოგიდგინა. აქ არის ჩვენი სოციალური, პოლიტიკური, სპორტული, სახელოვნობით ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები. გამოკვეთილი ადგილი უჭირავს ცნობილ ბიროვნებათა გაღვრეას, საქართველოს უახლოეს წარსულს, სამოქალაქო ომს, ეროვნულ მიმართობას, საპარლამენტო ცხოვრებას.

ეს ისეთი გამოფენაა, რომელიც აუცილებლად უნდა ნახო! ...საკუთარი ბედის გამომჭედელი ფოტოსტუდიანია ახლა თავისი ნამუშევრების სრულყოფილი ფოტოალბომის გამოცემაზე ოცნებობს. დარწმუნებული ვართ, რომ რომელიმე ღვთისნიერი ქართველი ქველმოქმედის დახმარებით ჯემალ კასრაძე ამ სურვილსაც მალე აიხდენს.

სპარტაძე ძოვულია



სამოქალაქო დაპირისპირება



უხვული



1991 წლის სექტემბერი...



ზურაბ წერეთელი, ბადრი კატარაძისივილი



„ჩაღ“ (რეჟისორი რატიანი)

ფეხბურთი

პირველად - ეპიკაპელაზთან

მართალია, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა „მუნდიალ-2014“-ის შესარჩევი ტურნირის წლებადელი პროგრამა ამონურა, მაგრამ სეზონი ჯერ არ დაუხურავს.

თემურ ქეცბაიას გუნდისთვის ბოლო აკორდი 14 ნოემბერს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის ვაკის სტადიონზე ეგვიპტელებთანაა დანიშნული. მხარეებმა შესაბამის შეთანხმებას ამ დღეებში მიაღწიეს და ამხანაგური მატჩის გამართვის

თაობაზე გაუღებელი ინფორმაციის საფუძვლიანობა ოფიციალურადაც დაადასტურეს. ეს იქნება ამ ორი ქვეყნის ნაკრებთა პირველი შეხვედრა.

შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ „ჯვაროსნები“ ფიფას რეიტინგში 65-ე პოზიციას იკავებენ, ხოლო მათი მომავალი მეტოქეები - მე-40-ეს. მათ 2011 წლიდან აშშ-ის ნაკრების ყოფილი თავკაცი ბობ ბრედლი ავარჯიშებთ.

დავძენთ, რომ ფარაონების




შთამომავალნი წარმატებით ჩაებნენ ბრაზილიის 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის აფრიკის ზონის ჯგუფურ რაუნდში, სადაც ზედიზედ სძლიეს მოზამბიკს - 2:0 და გვინეას - 3:2.

ვიტალი ჯაფარიძე

თაობა

ტრადიციის ერთგულნი



„დინამოს“ საფეხბურთო აკადემიის 1999 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდიც მონაწილეობს, რომელსაც ოთარ გაგნიძე წვრთნის. დღეს ნახევარფინალში თბილისელები კიეველ თანატოლებს სვდებიან, ხოლო მოსკოველები - მინსკელებს.

დღეს და ხვალ უკრაინის დედაქალაქი გამორჩენილი მეკარის ვიქტორ ბანიკოვის თასის მე-15 გათამაშებას უმასპინძლებს, რომელიც კიევის „დინამოს“ დაარსებიდან 85-ე წლისთავს ეძღვნება.

ტრადიციულ ტურნირში იქაურ, მოსკოველ და მინსკელ თანაკლუბელებთან ერთად თბილისის

ოლიმპიური სისტემით მიმდინარე ასპარეზობის გამარჯვებულის ვინაობა ხვალ გამოვლინდება, როცა აღნიშნულ წყვილებში უძლიერესნი ერთმანეთთან გადამწყვეტ მატჩს გამართავენ.

მანუშარ გიორგაძე

ჯანსაღი ცხოვრების წესი

მსოფლიო ერთი ფლის მონაბარი

შარშან, 18 ოქტომბერს, 115-ე, 69-ე, 173-ე, 207-ე და 114-ე საჯარო სკოლების ბაზაზე დაფუძნდა სპორტული კლუბი „მორკინალი - 2011“, რომელიც უპირველეს მიზნად შიდასასკოლო შეჯიბრებების მოწყობას ისახავს.

სხვადასხვა სახეობაში გამართულ ასპარეზობებში ვლინდებიან სკოლების საუკეთესო მოთამაშეები, მათგან იქმნება სკოლების ნაკრებები, რომლებიც, თავის მხრივ, მონაწილეობენ კლუბის მიერ ორგანიზებულ სტარტებში.

კლუბმა უკვე ჩაატარა ტურნირები ფეხბურთში, კალათბურთში, ქართულ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში, რომლებშიც დედაქალაქის 34 საჯარო სკოლის 900-მდე მოსწავლემ გაუწია მეტოქეობა ერთმანეთს.

წლეულს სპორტულ კლუბში ჩამოყალიბდა სასკოლო ლიგები ფეხბურთსა და კალათბურთში. სწორედ 18 ოქტომბერს,

სკოლის დაბადებიდან პირველ საიუბილეო თარიღზე, 115-ე საჯარო სკოლის სპორტულ მოედანზე დაიწყო მთავარი პრიზისთვის პაექრობა სასკოლო ლიგის ფეხბურთელებმა, რომელიც 1 ივნისადმე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღემდე გასტანს. რაც შეეხებათ კალათბურთელებს, მათი ბატალიები ნოემბრიდან გაიხსნება ფეხბურთულად გათვალისწინებული. ამ სახეობებში მონაწილეთა ასაკი 2000-2001 წლებში დაბადებული ყმანვილებით განისაზღვრება.

ლიგაში შექმნილია 2 ჯგუფი. პირველში თამაშობს გლდანისა და ლაღაშის რაიონის 16 საჯარო სკოლის ნაკრები გუნდი, ხოლო მეორეში - საჯარო სკოლებში არსებული წრეები, საფეხბურთო კლუბები და სპორტული სკოლები. ჯგუფებში პირველ-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები პლეი-ოფში განაგრძობენ ჩემპიონობისთვის

ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ თბილისელ თანატოლთა წინააღმდეგ კასპელი ბავშვებიც ცდიან ძალებს.

უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელიც „მორკინალი - 2011“-მა იტვირთა, მომავალ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაა, რასაც ხელი სკოლებში სექციური მუშაობის გააქტიურებამ და ანალოგიური ლიგების უფრო ფართო მასშტაბით დამკვიდრებამ უნდა შეუწყოს.

ამით, დაგვეთანხმებით, დაჩქარდება სპორტის პოპულარიზაციის პროცესი და მოზარდებიც მონაწილეობენ ქუჩას.

და ბოლოს: კლუბის ხელმძღვანელობას (დავით ხავთასი, გია ბეგიაშვილი, შალვა ცომაია) ლიგის თამაშებს შორის შესვენებებზე განზრახული აქვს შეჯიბრებების მოწყობა მაგიდის ჩოგბურთსა და მძლეოსნობაში.

გიორგი შოთაძე



ჭადრაკი

საქართველოს თასი - ფანსულაძის



თბილისის ქადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც 60-მდე ქალ-ვაფი მონაწილეობდა. შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გამართულ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების წევრმა ლევან ფანცულაიამ 7,5 ქულა მოაგროვა და მთავარ პრიზთან ერთად 2000 ლარიც დაიმსახურა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ლუკა პაიჭაძე, რომელსაც 1500 ლარი ერგო. 6,5 ქულით მესამე

ადგილი და 1000 ლარი შოთა აზალაძეს სვდა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ცალკე დაანესეს პრიზები ქალთათვის. 6 ქულით პირველობა ინგა ხურცილაძემ (1000 ლარი) მოიპოვა. 5,5-5,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები სოფიკო ხუბაშვილმა (700 ლარი) და ნინო ხურციძემ (400 ლარი) გაინაწილეს.

ლუკა ცინცაძე ვაჟა დანელიას ფოტო.

წყალბურთი

16 საბჭურის 21 მაქიახელი

ევროპის 21 საუკეთესო წყალბურთელთა გუნდი მონაწილეობს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში, საიდანაც 16 საუკეთესო მერვედფინალის საგზურს მიიღებს. უკვე გაუწყეთ, რომ თბილისის „ლიგამუსმა“ მეორე შესვენდა დათმო, ამჯერად ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ და A ჯგუფში უდანაკარგოდ საბერძნეთის „ეულიაგმენი“ ლიდერობს.



დანარჩენ ჯგუფებში მე-3 ტურის შესვენდრები ასე დამთავრდა: B ჯგუფი. „დუბროვნიკი“ (ხორვატეთი) - „კრუზლინიგენი“ (შვეიცარია) 29:7, „ცრვენა ზევბდა“ (ბელგრადი) - „მონპელიე“ (საფრანგეთი) 10:8.

3 ტურის შემდეგ: „ოლიმპიკოსი“ - 6 (26:12), „დუბროვნიკი“ - 6 (39:13), „ცრვენა ზევბდა“ - 6 (42:25), „მონპელიე“ - 0 (15:21), „კრუზლინიგენი“ - 0 (19:70).

C ჯგუფი. „ბარსელონიტა“ (ესპანეთი) - „მარსელი“ (საფრანგეთი) 15:4, „სინთეზი“ (ყაზანი) - „ვოივოდინა“ (ნოვი სადი) 9:10.

3 ტურის შემდეგ: „ბარსელონიტა“ - 9 (34:15), „მარსელი“ - 3 (13:22), „ბრეშა“ - 3 (20:18), „ვოივოდინა“ - 3 (23:31), „სინთეზი“ - 0 (16:20).

D ჯგუფი. „პარტიზანი“ (ბელგრადი) - „ორადეა“ (რუმინეთი) 8:7, „გალათასარაი“ (თურქეთი) - „შპანდაუ 04“ (ბერლინი) 10:7.

3 ტურის შემდეგ: „პარტიზანი“ 7 (26:22), „ბეტონი“ - 6 (22:14), „გალათასარაი“ - 4 (15:23), „ორადეა“ - 0 (16:22), „შპანდაუ 04“ - 0 (22:31).

მომდევნო ტურის შესვენდრები 14 ნოემბერს გაიმართება.

ლუკა დიდი

დედაქალაქი

რად ვერ ვეღვივებთ გზავრს და ნაბავს?

(გაგვიღივებ გვერდიდან)

მიუხედავად ყველაფრისა, დე- ზერტირების ბაზარი, ისევე, რო- გორც მისგან არცთუ შორს ნი- ნოშვილის ქუჩაზე ახალი აგრა- რული სავაჭრო ცენტრი, ფაქ- ტობრივად, ცარიელია, ორივე სართულზე სულ 50-60 მოვაჭრე თუ მიდის ხოლმე. სამაგიეროდ გარეთ, ზუსტად ბაზრის ახალი შენობის წინ, ეგრეთ წოდებულ „ციგანსკი ბაზარში“, შესასვ- ლელთან, უამრავი სურსათი - ხი- ლი, მწვანე ხაჭაპური, ბოსტნეული, ყვე- ლი, ხორცი და ათასი სხვა რამ იყიდება. ასევეა ქუჩის გადაღმა, სადაც სურსათის გარდა სასკო- ლო ნივთები, წიგნები, საგალან- ტერეო ნაწარმი და ა.შ. იყიდება. ბუნებრივია, რომ ქუჩის მტკვერ- სა და მანქანების გამოწვევით ვაჭრობის დროს რაიმე წესების დაცვაზე, მათ შორის უმთავრეს- ზე, სანიტარიული ნორმების დაც- ვაზე ფიქრიც კი ზედმეტია. თუმ- ცა, ეგ კიდევ არაფერი, გაცილე- ბით უფრო მეტი სიმბინძურეს და სრულიად აღმაშფოთებელ ანტი- სანიტარიას თამარ მეფის ქუჩი- დან ბაზრამდე პასაჟში გადავე- ყარე: ერთ-ერთი ხორცის მაღაზი- ის წინ იქაურ „ძიკაცებს“ გარეთ ღვარის თავები და ჩლიქები გამო- ეტანათ, ზედ ტროტუარზე და- ეწყობდა და იქვე წმენდნენ, ნარჩე- ნებსაც გვერდით აქუჩებდნენ... მსგავსი სურათი ვნახე თვედღერ



მღვდლის ქუჩაზე, ძველი რკინიგ- ზის საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზეც, სადაც ათასწა- ირი სურსათი ასევე ასფალტზე ჰქონდათ დაწყობილი. თუ რამ- დენად შველის სანიტარიული მოთხოვნების დაცვას პროდუქ- ციის ასფალტზე დაგებულ ცელო- ფანზე ან ხის ყუთზე დადება, თა- ვად განსაჯეთ, ბატონებო. ყოველივე ამის შესახებ, ბუნებ- რივია, დეზერტირების ბაზრის მესვეურებს დაველაპარაკე, რომ- ლეზმაც კითხვაზე, თუ რატომ არ შედიან მოვაჭრეები შენობაში, მი- პასუხეს - ეგ ჩვენც ვერ გავგვიგაო,

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ იმით შეიძლება ავსნათ, რომ ძველ ადგილებს მიჩვეულნი არიანო. თუ რამდენად შეესაბამება ეს ახსნა სი- ნამდვილეს, ძელი სათქმელია, მით უმეტეს, რომ ახალ წლამდე მოვაჭ- რეებს საფასურს არ გადაახდები- ნებენ, გაისიდან კი 120 სანტიმეტ- რის სიგანის ერთი ადგილის ქირა- ობა დღე-ღამეში 5 ლარი ეღირებ- ბა, ხოლო ვისაც საქონლის შენახვა და, შესაბამისად, ღამის საათებში დაცვა დასჭირდება, იმათ ამ მომ- სახურებაში კიდევ 2 ლარის გა- დასადა მოუწევს. რაც შეეხება ქუ- ჩის გადაღმა თავის დროზე სპონ- ტანურად წარმოშობილ, ასე ვთქვათ, სავაჭრო ცენტრს, იქაუ- რობას, როგორც ჩანს, წინამძღ- ვარი სანიტარიული რეკონსტრუქცია „მოუვლის“. ყოველ შემთხვევაში ბაზრის მესვეურებმა ეს ინფორმა- ცია მომანოდეს.

ოთარ ტურაბალიძე

P. S. ძველი ადგილების „შეჩე- ვისა“ და წინამძღვარი შენობის რეკონსტრუქციისა რა მოგახსენოთ, როდის რა იქნება, დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ იქაურ ანტი- სანიტარიას ბოლო რომ უნდა მო- ელოს, ეს, ვფიქრობ სადავო არ არის და ამას, ჩემი აზრით, უწინარესად, რაიონის ხელმძღვანელებმა დრო- ულად უნდა მიხედოს.

მ. ტ.



გაგვიღივებ

რამდენი რამე მივცნო!

მზის სინათლე იხილა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნეს“ წლებიდან დაიწყო ნომერ- მა (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლო- გიისა და ხელოვნების ისტორიის სფერო), რომელიც, ჩემი ფიქრით, გარედან მტერს მოჭრის თვალს (საუცხოო ფორმით ანუ პოლიგრაფიული დონით), შიგნიდან კი - მოყვარეს (მდიდარი შინაარსით). ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში ჩვენი საისტორიო ელიტის ბევრი თვალ- საჩინო წარმომადგენელი შედის აკადე- მიკოს როინ მეტრეველის თავკაცობით. „მაცნეს“ ეს ნომერი კავკასიის უნივერ- სიტეტის თანადგომით დაბეჭდილა. პო- და, ამ ნომრის „უბრალო“ გადაფურცე- ლა და ალაგ-ალაგ ჩახედვაც კი მთელი სიამოვნებაა საქართველოს ისტორიის (უფრო „ზოგადად“, კავკასიის ისტორი- ის), არქეოლოგიის, ხელოვნების, წყაროთ- მცოდნეობისა და კიდევ სხვა არაერთი საინტელექტუო საზრდოს მაძიებლისათ- ვის - ნასაკითხად „ჩაჯდომაზე“ რალა ითქმის! 20 ერთმეორეზე საგულისყურო პუბ- ლიკაციიდან ოდენ რამდენიმეზე შევაჩე- რებ მკითხველის ყურადღებას, ისეთებზე, გაზეთის ფურცლებისთვის რომ, ჩემი აზ- რით, უფრო „ასატანია“. ვაგა ლორთქიფანიძის სტატიაში „ეთ- ნოპოლიტიკური კონფლიქტები კავკასი- აში (კონფლიქტების ანატომია)“ ეს საგანი მოკლედაა გადმოცემული. ასწილია კონ- ფლიქტების ეთნოპოლიტიკური და არა მარტო ეთნიკური ხასიათი. გაანალიზე-

ბული რუსეთის განმსაზღვრელი როლი და გეოპოლიტიკური მოტივაციები კონ- ფლიქტების წარმოშობასა და განვითა- რებაში, აღნიშნულია რუსეთიდან სეპა- რატისტული მოძრაობების მხარდაჭერის მკვეთრად უარყოფითი მნიშვნელობა პირ- ველ რეჟიმით რუსეთისათვის. გარჩეუ- ლია კონფლიქტების ნეგატიური გავლენა კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ, სოცია- ლურ-ეკონომიკურ და განსაკუთრებით, დემოგრაფიულ ზრდაზე. როინ მეტრეველის ნარკვევში „იოჰან გიულდენშტედტი რაჭის შესახებ“ შემო- თავაზებულია გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან გიულდენშტედტის მი- ერ 1772 წლის ექსპედიციისას მოპოვებუ- ლი ცნობები საქართველოს შესახებ- ლად, კერძოდ, ისტორიის, ეთნოგრაფიის, სოფლის მეურნეობის, სამთო საქმის, ხელოსნობისა და ვაჭრობისა; გამორჩე- ულად, რაჭის რეგიონის ფაუნისა და ფლორისა. ი. გიულდენშტედტმა თურმე მოგვანოდა ინფორმაცია მინერალებისა და მადნის ადგილმდებარეობაზე, უჩვენა იმათი მოპოვების აუცილებლობა, დაახასიათა მდინარეები, ტბები და იქა- ური თევზები; აღწერა მშენებლობის მე- თოდები, პურის გამოცხობის, ღვინის და- ყენების ხელოვნება, ცალკეული გეოგრა- ფიული პუნქტები... ზურაბ აბაშიძის სტატიაში „ქართუ- ლი ენციკლოპედია“ განხილულია საქარ- თვეოლში ენციკლოპედიური მოღვაწე- ობის ძირითადი სათავეები და მიმართუ- ლებანი. ნინა საუკუნეების ენციკლოპე-

დისტია შორის გვხვდება ისეთი ფარ- თოდ ცნობილი სახელები, როგორც სულხან-საბა ორბელიანი, იოანე ბაგ- რატონია (ბატონიშვილი), ივანე როს- ტომაშვილი... უნდა ვიცოდეთ, რომ თანამედროვე ქართული ენციკლოპედიის მომზადებისა და გამოცემის პირველი ცდა 1930-იან წლებში ეკუთვნის გამოჩენილ სწავლე- ლებს ი. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, ს. ჯანაშიას, პ. ინგოროყვას, გ. ქიქოძესა და სხვებს. ზოგიერთი გარემოების მიზეზით ეს ცდა ვერ იქნა რეალიზებული... მთავარ კაპიტალურ შრომად უნდა ჩა- ითვალოს 12-ტომიანი ქსე-ქართული საბ- ჭოთა ენციკლოპედია (1975-1987 წლები). ამ ნაშრომმა თავი მოუყარა ქართული სა- მეცნიერო პოტენციალის თანამედროვე მიღწევებს. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ბოლო ათ- წლებში მომზადდა და გამოიცა შრო- მები „თბილისი“, „ქართული ენა“, „თბი- ლისი: ქუჩები, პროსპექტები, მოედნები“, „ქართული დამწერლობა“, „საქართვე- ლის ისტორიული და კულტურული ძეგ- ლთა აღწერა“, „საქართველოს გეოგრა- ფიული დასახელებათა ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „100 ქართველი უცხოეთში“ („სრ“-ში უკვე გამოქვეყნდა არაერთი ნა- კვეთი ამ შრომიდან - თ. გ.). გამოსაცემად მზადაა ენციკლოპედია „საქართველოს“ II ტომი (გამოდის 5 ტო- მად). ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსისა და სახიკაფლო ქალბატონის, აკადემიკოს

სანთელი

გენო ჩიქვინიძე

ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ არის ჩვენი უსაყვარლესი მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება, თვალ- საჩინო მშენებელი გენო ჩიქვინიძე. წინა დღით იგი ხალი- სიანი და მხიარული რამდენიმე ჩვენგანს ესაუბრა. რალაც გა- დაუდებელი საქმეები ჰქონდა და მერე, როგორც ყოველთ- ვის, მას სურდა მეგობრების შეკრება მოეწყო. მეორე დღეს კი მოხდა სრულიად მოულოდნელი, ჩვენთვის თავზარდამ- ცემი ამბავი. მოსაგონარი ბევრია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, გვახსენ- დება მისი საოცარი თვისება - უშურველად დახმარებოდა ყველა ახლობელს, ვისაც დახმარება სჭირდებოდა. იგი ამას აკეთებდა დიდი სიკეთით, ხალისით და თვითონაც გრძნობ- და კმაყოფილებას. ბატონმა გენომ დიდი, საინტერესო გზა გაიარა. რიგითი მშე- ნებელიდან მიაღწია საკმაოდ თვალსაჩინო პოზიციებს. უკა- ნასკნელ ორ ათეულ წელზე მეტი ხანი ხელმძღვანელობდა სა- ქართველოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართვე- ლოს. ეს სამმართველო ბატონი გენოს ხელმძღვანელობით უზ- რუნველყოფდა საქართველოში ყველა სახის ნაგებობის მშე- ნებლობას. აშენდა უამრავი საცხოვრებელი სახლი, უნიკა- ლური ნაგებობები. ბატონი გენოს შრომა და უნარიანი ხელ- მძღვანელობა არაერთხელ იქნა აღნიშნული. იგი იყო საქარ- თველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მაგრამ, რაც მთავარია, მასზე არ თქმულა არასოდეს რაიმე აუგი, მიუხედავად იმისა, რომ უამრავ ხალხთან ჰქონდა საქმე. ბატონ გენოს დიდი ოჯახი ჰყავდა და ყველა მის გვერდით მშვიდად, იმედიანად და უზრუნველად გრძნობდა თავს. დრო გადის, დრო ყველაფრის მკურნალია და ეს დიდი სევ- დაც შეიძლება მინელდეს, მაგრამ ჩვენი გენო ჩიქვინიძის, ამ ნათელი პიროვნების, კაცური კაცის, უერთგულესი მეგობ- რის ხსოვნა არასოდეს გაქრება ჩვენში, მისი მეგობრების გუ- ლებში.

მანანა ახვიათი, დოდო შუბლაძე, გივი მისხიშვილი, გივი გორგოშიძე, რამაზ ძაცარავა, ოპარ კიკნაძე, ანზორ ჩოგოვაძე, გურამ ონაშვილი.

რეკლამა გ. ახვიათიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

განცხადება 2012 წლის 20 ოქტომბერს ნოტარიუს იამზე ჩანქსელიანთან გახსნა სამკვიდრო 2012 წლის 20 აპრილს გარდაცვლილ დავით გა- ბისონიას, დაბ. 1941 წლის 24 დეკემბერს პ/№01017016987, დანაშთ ქო- ნებაზე - დაინტერესებულ პირებს სამკვიდროს მისაღებად შეგიძ- ლიათ მიაკითხოთ სანოტარო ბიუროში. მის: თბილისი, სარაჯიშ- ვილის გამზირი №7. ნოტარიუსი იამზე ჩანქსელიანი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე 2012

მარიამ ლორთქიფანიძის შესანიშნავ იუბილეს, 90 წლისთავს ეძღვნება ირმა რუხაძის ნერილი „იმისი ნიჭი, მოქალა- ქობრივი გამბედაობა ყველაფერს ეყო, ყველაფერს გასწავდა“. აქვე სათქმელად, ნ ნომერს ეროვნულ აკადემიაში ქალ- ბატონი მარიკას ლირსაგები შეკრება შედგება... აშშ-ის პრეზიდენტის არჩე- ნების გარდა... „მოხდა ისე, რომ საბჭოთა სისტემის კრახის შემდეგ, ჩვენს სამეზობლოში, ის- ტორიკოსთა ჯგუფები, ვინ - საკუთარი მთავრობების სპეცსამსახურების დავა- ლებით, ვინ - თავისი ინიციატივით უაქ- ლაციოდ თუ უბოდიშოდ ეწევა საქარ- თველოს ძველი, შუა, ახალი და უახლე- სი ისტორიების ფალსიფიკაციას, ქართ-

ველი ერის კულტურული მიღწევების იგ- ნორირებას, გაუმართლებელი ტერიტო- რიული პრეტენზიების „დასაბუთებას“. ზოგიერთი მეცნიერის „ძიება“ ისტორიის ფოლიანტებში იქამდეც კი მიდის, რომ სა- ერთოდ უარყოფენ ქართული სახელმწი- ფოებრიობის არსებობას, სადავოს ხდიან ქართველი ერის ერთიანობის საკითხს და ა. შ. ეს არის ციტატა (პირველივე აბზა- ცი) ალექსანდრე დაუშვილის ნერილი- დან „საქართველოს ისტორიის ფალსი- ფიკატორების წინააღმდეგ“, სადაც სა- ვადრისი პასუხია გაცემული სწორედ ამ ავისმოსურენ და უტიფარ ყალბიმქნელ- თა მისამართით. „მაცნეს“ ამ ნომრის ქრონიკისა და ინ- ფორმაციის განყოფილებაში ტყობი- ლობთ, რომ მიმდინავე წელს საქართველო- ში მ სამეცნიერო კონფერენცია გამართუ- ლა საზოგადოებრივ მეცნიერებათა „ხაზით“, რომ 15 ახალი წიგნი დასტამ- ბული ამავე სფეროში. „მეცნიერის გახსე- ნებაში“ კი ბუბა კუდავა აკადემიკოს ილია აბულაძეზე მოგვითხრობს, გონელი არახაშია - პროფესორ თამაზ ბერაძეზე. სხვა ასევე საგულისხმო სტატიაში ავ- ტორებმა უნდა მომიტყეონ იმათი „იგნო- რირება“... ცალკე უნდა აღნიშნოთ, რომ ყოველ პუბლიკაციას ახლავს რეზიუმე ინგლი- სურ ენაზე და რაც პირადად ჩემთვის ასე მოსახარონი გახდა, წინა ხელისუფლების- გან შეგნებულად და ყოველად გაუმართ- ლებლად „დაჩაგრული“ რუსული ენაზე. მგონია, ჩემი მოკრძალებული „ანოტა- ციური“ მონათხრობითაც გამოჩნდა „მაც- ნეს“ პირველი კრებულის შინაარსობრივი სიმდიდრე მკითხველური მადლობა ქარ- თველ ისტორიკოსებს...

თამაზ ევანოიძე

რისკის ფაქტორი

ოსტეოპოროზის ხშირად სიბერის განუყოფელ მეგზურს უწოდებენ, რომელიც ადრე თუ გვიან ყველას გაუჩნდება ისევე, როგორც, ვთქვათ, ნაოჭი ან ქალარა. სინამდვილეში ეს სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ავადმყოფობის გამომწვევ ყველა მიზეზზე შემოქმედება სავსებით შეგვიძლია.

ჭარმაზი ასაკი

არტროზის არასოდეს უჩივის ოცდაათ წლამდე ასაკის ხალხი. სამაგიეროდ, 70 წელთან მიახლოებულ პაციენტთა 30-40 პროცენტს მუხლის სახსრების დაზიანება აღენიშნება.

ასაკის მომატებასთან ერთად ორგანიზმი ხრტილოთა ელასტიურობისთვის საჭირო სითხეს კარგავს. ამასთან ხრტილის უჯრედები - ქონდროციტები, რომლებიც მის აღდგენაზე არიან პასუხისმგებელი - „ზარმაცობას“ იწყებენ, რაც ხრტილების ქსოვილთა დაშლის მიზეზი ხდება.

როგორ ავიცილოთ პრობლემა?

მათ, ვინც ცხოვრების ჯანსაღი წესით ცხოვრობენ, ართროზი უფრო გვიან ემართებათ, თანაც ისე მძაფრი არ არის. ამიტომ ეცადეთ დღის ნესრიგი დაიცვათ, რეგულარულად იარეთ ფეხით, მიაშურეთ საცურაო აუზს. პროფილაქტიკური გასინჯვებიც რეგულარულად გაიარეთ, ნუ მიუშვებთ დაავადებებს, თუნდაც ისინი სახსრებთან დაკავშირებული არ იყვნენ.

50 წლის შემდეგ სასარგებლოა სახსრებში

როგორ ავიცილოთ პრობლემა?

სიმძიმეებს ნუ ასწევთ - ეს არც მამაკაცებისთვისაა რეკომენდებული, მაგრამ მათ უფრო ძლიერი კუნთები და მყესები აქვთ. ქალებს კი ისინი უფრო სუსტი აქვთ, ამდენად, სახსრებს შორის ხრტილებზე უფრო მეტი დატვირთვა მოდის.

ამიტომ 45 წლის ასაკიდან ქალბატონებმა საყრდენ-სამოძრაო აპარატის რენტგენოლოგიური გამოკვლევა რეგულარულად უნდა გაიარონ. თუკი რენტგენოსურათებზე სახსრის ხვრელის ოდნავი შევიწროებაც გამოჩნდება, საჭიროა დაუყოვნებლივ მკურნალობის დაწყება, წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფობა პროგრესირებას დაიწყებს.

როგორ ავიცილოთ პრობლემა?

აუცილებლად საჭიროა ჭარბი წონის დაგდება, მაგრამ მკაცრ დიეტაზე გადასვლა არ შეიძლება, რადგან ეს ხრტილებს საკვები ნივთიერებების დეფიციტს უქმნის. გაცილებით სჯობს რაციონში ცხიმებისა და ტკბილეულის შემცირება. მენიუში ბევრი უჯრედოვანი - ბოსტნეული, ხილი, ბურღულეული უნდა იყოს. ასევე ყურადღება მიაქციეთ გოგირდით მდიდარ სურსათს - ასეთი პროდუქტები აუცილებელია ხრტილებისა და შემაერთებელი ქსოვილების ასაგებად. ამიტომ მისი მარაგის შევსებაში დაგეხმარებათ ნიორი, ხახვი. ამას გარდა, აუცილებელია რძის მიღებაც, რომელიც სახსრების ჯანმრთელობისთვის აუცილებელ კალციუმს შეიცავს. რძის ნაწარმი კი უმჯობესია უცხიმო შეიძინოთ.

წონაზე კონტროლის დასამყარებლად საჭიროა აქტიური იყოთ, თუმცა ზედმეტ ვარჯიშს უნდა მოერიდოთ. ეს ეხება როგორც ძალისმიერ, ასევე ჩვეულებრივ აერობიკულ ვარჯიშებს. ისინი შესასრულებლად სასიამოვნო, თანაც არც ზედმეტად ხანგრძლივი, არც ზედმეტად ინტენსიური უნდა იყვნენ.

ხოლო თუკი ართროზი უკვე დადგინდა, მეტად მნიშვნელოვანია სწულს სახსრებზე დატვირთვის შემცირება, რაშიც დახმარებას ხშირად ჩვეულებრივი საგნები გაგიწევენ. მაგალითად, ხელჯოხი, რომელიც ფეხის სახსრებზე დატვირთვას შეგიძლია რებთ და ზუსტად სიმაღლეზე უნდა გქონდეთ მორგებული. საამისოდ ისეთი ქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვით, რომელსაც უფრო ხშირად ხმარობთ, ნელში გასწორდით და ხელები დაუშვით. ხელჯოხის სახელური ცერა თითის ფუძესთან უნდა იყოს გასწორებული. თუკი მარცხენა ფეხი გაწუხებთ, სიარულისას ხელჯოხი მარჯვენაში უნდა გექიროთ და პირიქით.

ასევე გირჩევთ სუპინატორებიან და ფეხსაცმლის ჩასაფენების ხმარებას, რომლებიც ფეხებისა და ხერხემლის განტვირთვის შესაძლებლობას იძლევა. ისინი აუცილებლად ინდივიდუალურად უნდა შეარჩიოთ, რადგან ფეხის ზომა ყველას განსხვავებული გვაქვს. არასწორად შერჩეულ ფეხსაცმლის ჩასაფენს კი ზიანის მოტანა შეუძლია.

ეცადეთ მუდამ მოხერხებულ სკამზე დაჯდეთ. ბევრ ართროზით დაავადებულ ადამიანს ადგომა უჭირს, ამიტომ ამ პროცედურის გასაიოლებლად სახლში წინ ნაწეული იდაყვების ჩამოსადებიანი სკამები იქონიერ, რომლებსაც წამოდგომისას დაეყრდნობით. ამის წყალობით სხეულის სიმძიმე უფრო თანაბრად გადაწარმოვდება.

თავარ გოგიაშვილი

შეინარჩუნეთ სახსრები!

დიდი დატვირთვა და ტრავმა

მკარავებს, ჩვეულებრივ ხელის მტყუნების ართროზი წარმოუშვებთ ხოლმე, სამტყუნე ჩაქუჩით მომუშავეებს - იდაყვებისა და მხრების სახსრების ართროზი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველ რიგში ის ხრტილი ზიანდება, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ყველაზე მეტ დატვირთვას განიცდის.


მნიშვნელოვან აქვს ასევე ერთჯერად დაზიანებებსა და ტრავმებს - ავადმყოფობის პროგრესი ხშირად სწორედ მათ შემდგომ იწყება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფიზიკურ დატვირთვაზე ვინმე უარი უნდა თქვას. საქმე ის არის, რომ ხრტილის კვება იმ შემთხვევაშიც ირღვევა, თუკი იგი „უმოქმედოდა“. ეს კი მაშინ ხდება, როცა ადამიანი ცოტას მოძრაობს.

როგორ ავიცილოთ პრობლემა?

ეცადეთ მუშაობა და დასვენება ერთმანეთს შეუნაცვლოთ, რათა სახსრებს მოდუნების შესაძლებლობა მიეცეთ. თავისუფალ დროს ტანვარჯიშის კომპლექსები შეასრულეთ, რომლებიც დატვირთული სახსრების ირგვლივ კუნთების მოდუნებისა და მათთვის სისხლის მიწოდების შესაძლებლობას უქმნის.

ჭარბი წონა

სხეულის ჭარბი წონა საყრდენ სახსრებზე - თქოებსა და მუხლებზე - დატვირთვას ზრდის. ამასთან, ცხიმი აწელებს სახსრებისთვის სისხლის მიწოდებას, რის გამო ხრტილის კვება ირღვევა.



ნივთიერებათა ცვლის აღმდგენი საშუალებების - ხონდროპროტექტორების მიღება. თუკი ხრტილი დაზიანდა, პირვანდელ სახეს ისინი, მართალია, ვერ დაიბრუნებენ, მაგრამ დაშლას კი საგრძნობლად შეანელებენ. მათი პროფილაქტიკის მიზნით მიღება ართროზის ყველაზე ადრეულ სტადიაზე გაჩერების საშუალებას იძლევა. ცხადია, რომ კურსის ჩატარება ექიმის კონსულტაციის შემდეგაა სასურველი.

ქალთა სქესი

ხელის მტყუნათა დაზიანება მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში მამაკაცებთან შედარებით ათჯერ უფრო მეტადაა გავრცელებული. ასეთ ოსტეოართროზს მეგვიდრეობითი სტრუქტურა აქვს - იგი დედის მხრიდან გადაიცემა.

ანაკლოზი

პაციენტმა ბევრი ფული უნდა გადაიხადოს. სხვაგვარად იგი არ შეასრულებს ექიმის დანიშნულებას.

თუ მთავრობა თავისი ხალხით უკმაყოფილოა, მან იგი უნდა გაუშვას და ახალი აირჩიოს.


გუშინ ორი საათი გავატარე საწოლში ლამაზ გოგოსთან ერთად. მეტიც შემეძლო, მაგრამ ფული გამითავდა...



ყვილას ბედნიერების თავისებური რეცეპტი აქვს. მე ჭერზე მიწერია: „ხვალიდან მკაცრ დიეტაზე გადავივარ“. ყოველ დღით, გაღვიძებისთანავე ვკითხულობ მას და მიხარია: რა ბედნიერებაა, რომ ხვალიდან გადავივარ და არა დღესვე.

- შენი ქმარი პოროსკოპით ვინ არის? - ეკითხება ერთი ქალი მეორეს.
- ვირი.
- ასეთი არსება პოროსკოპში არ არსებობს.
- ის იშვიათი ვირია.

ჩვენი პრესდაიჯესტი



დენისა და გაზის გაიაფების შემთხვევაში, ერთი ოჯახი თვეში 40- ლარამდე დაზოგავს

ის იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი 1 კვტ/სთ ელექტროენერგია 10 თეთრი ელირება, ხოლო 1 კვ/მ ბუნებრივი აირი - 40 თეთრი. სხვადასხვა ექსპერტული გათვლებით სრულებით შესაძლებელია, რომ გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფი შემცირდეს - გაზი გახდეს 40 თეთრი, დენის გადასახადი კი - 10 თეთრი. ეს მნიშვნელოვან ასახვას ჰპოვებს ოჯახის ხარჯზე, განსაკუთრებით კი ზამთრის პერიოდში. როგორც ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ზვიად კანდელაკი აცხადებს, ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფების შემცირება სავსებით შესაძლებელია.

„რაზონანსი“

„ჭიაბერაშვილი კახეთში სიტუაციის დაკაპავს აპირებს“

- აცხადებს ახმეტის საკრებულოს წევრი, რესპუბლიკელი ზაქარია ქინქლაძე, - ზურაბ ჭიაბერაშვილმა გურბერნატორის რანგში ოფიციალურ წარდგენამდე ახმეტის მუნიციპალიტეტში გამგებლის მოადგილეობით, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან დასურული შეხვედრა გამართა, სადაც ჭიაბერაშვილმა დირექტივები გასცა და განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ 6 თვესაც ვერ გასტანს, თუ ისინი ერთად იქნებოდნენ და ადგილებზე პრობლემებს შეუქმნიდნენ.

„ახალი თაობა“

„24 საათი“ იხურება?

გაპრცელდა ინფორმაცია, რომ „ნაციონალების“ ერთ-ერთი ბექდური ბასტიონი „24 საათი“ იხურება. - არ ვიცი, დასურვაზე ლაპარაკი ნამდვილად არ არის, მაგრამ შეიძლება თანამშრომლები ნამდვილად შევამცირო, ხელფასებიც შევამცირო, - აცხადებს გაზეთის მთავარი რედაქტორი პაატა ვეშაპიძე.

„ალია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

იყიდება ბინა სასწრაფოდ! ძალაძის ცენტრში, ოპერის უკან, თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთხბინანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარიკმით საღამოს - 247-57-79.

კადრი



ავტორთა საპუბლიკაციო რედაქციის მიერ შეუქმნა მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები. გამომცემელი: საქართველოს რესპუბლიკის „გაომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაჯ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ შოშულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი გავუა ვაშაძიძე 514 33-33-24